NEW BOOKS ახალი წიგნები

როინ მეტრველი, ბაგრატიონები, თბ., გამომცემლობა არტანუჯი, 2023

წიგნში გადმოცემულია უძველესი ქართული საგვარეულოს – ბაგრატიონების მოკლე ისტორია, მათი მოღვაწეობა, წარმომავლობა, პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩენა და სამეფო პატივში ზეობის ფაქტები. ნაჩვენებია ის დიდი ღვაწლი, რომელიც ამ საგვარეულოს წარმომადგენლებს მიუძღვით ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, ის ამაგი, რაც ბაგრატიონებმა ქვეყნის წინსვლის საგანძურში შეიტანეს.

ექვთიმე თაყაიშვილი, თზხულებანი, ტ. 11, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. ტომის რედაქტორი ბ. კუდავა. გამომცემლობა "არტანუჯი", თბ., 2022

აღნიშნულ ტომში შეტანილია ე. თაყაიშვილის ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება შუა საუკუნეების ქართული ეპიგრაფიკის, ხუროთმოძღვრების, ჭედური ხელოვნების, ნუმიზმატიკის, ხელნაწერული მემკვიდრეობის შესწავლას.

ექვთიმე თაყაიშვილი, თზხულებანი, ტ. 12, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. ტომის რედაქტორი ბ. კუდავა. გამომცემლობა "არტანუჯი", თბ., 2022

ტომში შესულია ნაშრომები, სადაც განხილულია შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის პრობლემები. გამოქვეყნებული მასალა, რომელიც დიდი ხანია სამეცნიერო მიმოქცევაშია, კვლავ ინარჩუნებს მაღალ სამეცნიერო ღირებულებას.

ჯაბა სამუშია, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, გამომცემლობა პალიტრა L, თბ., 2022

წიგნში პოპულარულ ენაზე გადმოცემულია ინფორმაცია ისეთ თემებზე, როგორიცაა თბილისის დაარსება და განაშენიანება, სამეფო კარისა და ურჩი ფეოდალების დაპირისპირება, დავით აღმაშენებლის სტატუსი გამეფებამდე, თამარის ეპოქისა და მისი მემკვიდრეების დროინდელი პოლიტიკური სიტუაცია, შავი ჭირის ეპიდემია მე-19 საუკუნის დასაწყისში, საქართველო და დასავლეთი ალექსანდრე მაკედონელის დროიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე, ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა პირველი რესპუბლიკის დროს და სხვა.

აკაკი კლიმიაშვილი, მორიგე ლაშქარი (მასალები XVIII საუკუნის სამხედრო ისტორიისთვის), თბ., გამომცემლობა არტანუჯი, 2022

წიგნი ეხება XVIII საუკუნის მეორე ნახევრში საქართველოს (ქართლ-კახეთის) სამხედრო ისტორიაში მომხდარ მნიშვნელოვან ფაქტს – მორიგე ლაშქრის შექმნის ისტორიის კვლევას. ეს მოვლენა ქართული შეიარაღებული ძალების ისტორიაში რეგულარული არმიის სისტემაზე გარდამავალი ეტაპია და ქართული სახელმწიფოებრიობისათვის გარდამტეხ პერიოდს უკავშირდება. ნაშრომს ერთვის საკითხთან დაკავშირებული ისტორიული დოკუმენტები (267 ერთეული). წიგნი განკუთვნილია საქართველოს ზოგადი და სამხედრო ისტორიის მკვლევართა ფართო წრისათვის.

ევგენი ბარათაშვილი, ნაირა გალახვარიძე, ზურაბ ნასარაია, ეთნომენეჯმენტი, გამომცემლობა: უნივერსალი, თბ., 2023

ნაშრომში განხილულია საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე ეთნოსებს შორის თანაცხოვრებისა და საქმიანობის საუკუნოვანი გამოცდილების კვლევა-ძიება მენეჯმენტის კუთხით,რაც საზოგადოების სამოქალაქო ინტეგრაციის სწორად წარმართვის მყარი საფუძველია.ნაშრომში განხილულია როგორ ზემოქმედებს გლობალიზაცია ქვეყნებისა და ხალხის კულტურულ განვითარებაზე, ამასთან ერთად, ნაშრომში მოცემულია ისიც,რომ გლობალიზაცია ეთნიკურ ჯგუფებს აძლევს ახალ რესურსებს უნიფიკაციისა და ასიმილაციის პროცესების წინააღმდეგობების გასაწევად.

კონსტანტინე ზ.გამსახურდია, სამშობლოსა და ერი-სახელმწიფოსთვის. ზვიად გამსახურდიას ბიოგრაფიული პორტრეტი, გამომცემლობა: პალიტრა L, თბ., 2023

წიგნში გადმოცემულია ზვიად გამსახურდიას - მწერლის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, დისიდენტისა და პრეზიდენტის - ბიოგრაფიული პორტრეტი რთული და მღელვარე ეპოქის შუქჭრილში, რომელშიც საქართველო იშვა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ნათელა ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, გამომცემლობა: ინტელექტი

წიგნი მოიცავს მასალას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ტრადიციული წეს-ჩვეულების – სწორფრობის შესახებ, მის ობიექტურ აღწერას საზოგადოების სხვა ინსტიტუტებთან კავშირში და კონკრეტული ეპიზოდების მაგალითზე. ეს მასალა, რომელიც სრულ სიახლეს წარმოადგენს ფართო საზოგადოებისათვის, ერთნაირად საინტერესო იქნება როგორც რიგითი მკითხველის, ისე ქართული ტრადიციული კულტურის მკვლევართათვის.

თამაზ ბერაძე, ზღვაოსნობა საქართველოში, გამომცემლობა: პალიტრა L, თბ., 2022

ისტორიკოს თამაზ ბერაძის ამ წიგნში მოთხრობილია ძველი ქართული ზღვაოსნობისა და საქართველოს უცხო ქვეყნებთან ურთიერთობის ამბები. წიგნი ძალიან საინტერესოდ გადმოგვცემს მენავეების ისტორიას, გვიყვება სხვადასხვა სახის ნავებზე.

რ. გორდეზიანი, ეკატერინე კობახიძე, ეტრუსკები, გამომცემლობა: პალიტრა L, თბ., 2022

წიგნი ეძღვნება ანტიკური სამყაროს ტრიტაგონისტებს - ეტრუსკებს, რომლებმაც ბერძნებთან და რომაელებთან ერთად უდიდესი წვლილი შეიტანეს ანტიკური ცივილიზაციის შექმნაში. პირველად ქართულ სამეცნიერო სინამდვილეში ერთ ნაშრომშია განხილული ეტრუსკული მემკვიდრეობის ყველა ძირითადი მიმართულება: ისტორია, დამწერლობა, ენა, საზოგადოებრივი ცხოვრება, მითოლოგია, რელიგია და ხელოვნება. წიგნს ერთვის უმნიშვნელოვანესი ძეგლებისა და ხელოვნების ნიმუშების ასზე

მეტი ილუსტრაცია და განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისთვის, მათ შორის, სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის.

სერგი მაკალათია, თორი, გამომცემლობა არტანუჯი, თბ., 2023

მრავალტომეული თავს უყრის საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის აღიარებული მკვლევრის, მხარეთმცოდნისა და არქეოლოგის, პროფესორ სერგი მაკალათიას (1893-1974) პრაქტიკულად ყველა შრომას, რომელიც თანამედროვე მკითხველს მისი დიდი ღვაწლის გააზრებასა და გაცნობაში დაეხმარება. გასათვალისწინებელია, რომ ნაშრომთა უმეტესი ნაწილი მხოლოდ ერთხელ, მეცნიერის სიცოცხლეში გამოიცა.

წინამდებარე ტომი 1957 წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნარკვევს ეთმობა. ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული აღნიშნული ნაშრომი მას შემდეგ პირველად გამოიცემა.

Sergi Makalatia , Khevsureti, Tbilisi, 2022

Sergi Makalatia (1893-1974) was a Georgian ethnographer who researched Georgian history, archaeology, numismatics, art and ethnography. From 1921 to 1935 he worked as a senior scholar at Georgia's State Museum and participated in the establishment of regional museums in such towns as Mestia (Svaneti(a) in 1936) and Gori, where he served as Director from 1937 to 1948. From 1930 he produced a series of valuable descriptions of traditional local customs for several Georgian provinces.

Presented in our book are some of the most interesting historical practices from the description of Khevsureti, a region in Georgia'snorth-centre/east which is bordered by Tusheti to the east, of which the main point of interest concerns a strangely daring custom that formalised a bond between a young couple, which, despite the intimacy permitted, was not expected to lead to them marrying.

იგორ კეკელია, აფხაზეთის ტოპონიმია, თბ., გამომცემლობა არტანუჯი, 2022

გამოცემა აფხაზეთის ისტორიულ და თანამედროვე ტოპონიმიის მრავალ საკვანძო საკითხს აერთიანებს. გეოგრაფიულ სახელწოდებათა უმეტესობა პირველად ქვეყნდება. მათი ლოკალიზაცია და ისტორია-ეტიმოლოგია მოცემულია ისტორიულ რეალიებთან თუ სხვა წყაროთა მონაცემებთან შეჯერებით.

წიგნში წარმოდგენილია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთაგან ჩაწერილი რამდენიმე ათასი მიკროტოპონიმი, რომელთაც ახლავს ენობრივი კომენტარები. ტოპონიმიკური მასალა მნიშვნელოვანი პირველწყაროა აფხაზეთის ობიექტური ისტორიის შესასწავლად.